პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

მწვანე უნარების ხელშეწყობა მდგრადობისთვის



განხორციელების ვადა: 01.06.2024 - 30.11.2026

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 776 700

მთლიანი ბიუჯეტი: € 863 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
CARE Österreich, CARE Caucasus Restaurateurs Association of Georgia (RAG) Fundación Restaurantes Sostenibles (FRS)

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/CARECaucasus

პროექტის ვებსაიტები: care-caucasus.org.ge/ care.at/

პროექტის აღწერა:
პროექტი მიზნად ისახავს მწვანე უნარების გაუმჯობესებას შემდეგი მიდგომებით:
ა) კვების სექტორის მწვანე ტრანსფორმაციის მიზნით, საქართველოს პროფესიული განათლებისა და სწავლების სისტემის (VET) შესაძლებლობები გაძლიერდება შესაბამისი მოკლევადიანი სასწავლო კურსის შექმნით და მიწოდებით და ბ) გძელვადიანი დარგობრივი პარტნიორობული ურთიერთობების ჩამოყალიბება სექტორის პარტნიორებს შორის, სექტორული უნარების ორგანიზაციასა და პროფესიული განათლების სისტემას შორის.
პროექტი სრულ შესაბამისობაში იქნება გლობალ და კონკრეტულ მიზნებთან, როგორიცაა: „ინკლუზიური და მდგრადი ზრდის ხელშეწყობა საქართველოში“ და „უნარებისა და დასაქმების გაუმჯობესება მდგრადი განვითარების გზით კერძო სექტორის, სექტორული ასოციაციებისა და ტრენინგის პროვაიდერების მიერ შემუშავებული ფინანსურად სტაბილური დარგობრივი პარტნიორობის გზით“.

პროექტი ფოკუსირებულია კვების სერვისებზე (რესტორნები, კაფეები, ბარები, თონეები, საკონდიტროები, კვების კომპანიები, კვების ინსტიტუციონალური მიმწოდებლები), როგორც ტურიზმის სექტორის ძირითადი სეგმენტი. კვების სერვისების სეგმენტი შეირჩა გარემოზე მისი მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და მდგრადობის გაუმჯობესების დიდი პოტენციალის გათვალისწინებით და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სეგმენტი საკმაოდ უგულებელყოფილი იყო საქართველოში სხვა „გამწვანების“ ან ტურიზმის განვითარების ინიციატივების გამო.
პროექტის ტრენინგ კურსით დაფარული იქნება თემები, კერძოდ, ნახშირბადის აღრიცხვა, წრიული ეკონომია,

მოსალოდნელი შედეგები:
1: კოლეჯების კვების სერვისის მწვანე ტრანსფორმაციის შესახებ გაუმჯობესებული სასწავლო მასალები და სატრენინგო რესურსები ტესტირებულია და შესაბამისობასია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნებთან და სტანდარტებთან.
2: ა(ა)იპ “Food, Beverages & Hospitality” (NPO)-ის გაზრდილი ორგანიზაციული და ტექნიკური შესაძლებლობები რათა მიიღოს დარგობრივი უნარების ორგანიზაციის სტატუსი (SSO).
3: პოლიტიკის შემქმნელების, სექტორის ძირითადი დაინტერესებული მხარეების და ფართო საზოგადოების გაზრდილი ინფორმირებულობა მდგრადი კვების სერვისებისა და მწვანე ტრანსფორმაციის გრძელვადიანი სარგებლის შესახებ.
4: მწვანე ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების პოლიტიკის, სისტემებისა და პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, კომპეტენტურ ორგანოებსა და სექტორის ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შორის მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დიალოგის გაზრდილი შესაძლებლობები